თი არ არის სანატრელი. ამ მხრით წარსულმა წელმა არაფერი სანუგეშო არა მოგვცა-რა არც ახლდელისოდ, არც სახვალისოდ.

...ჩვენს მდგომარეობაში კაცურად ცხოვრების წუთსაც-კი თავისი მაღლი და ფასი აქვს. მარტო შეიძლება ამ შემთხვევაში გულის ტკივილით ითქვას: „ჰე, წამო სიხარული-სავ, ესე სწრაფად რათ წარხვედო“, და თუ დანახვას ამისთანა შემთხვევაში ადგილი აქვს, ის უნდა გვენახებოდეს, რომ ყოველივე ეს წამო იყო და ნავიდა“.

**«ვით აბაა ზახისა იყავნ შენც სრული» — აი თავი და ბოლო ადამიანის ხსოვრებისა. ვის რა მანძილი გაუვლია, — ხალკე ადამიანია თუ მთელი ერი, — ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთა-სწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, — აი საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელის ერისა»**



# საქართველო დასავლეთი

www.geworld.ge  
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„თქვენმა შვილმა რობაქიძე ტარას დავითის ძემ (წითელარმიელი, დაბადებული 1907 წელს, საქ. სსრ, ქ. ზესტაფონი, ჩხარის რ-ნი, სოფ. გოგნი) სოციალისტური სამშობლოსათვის ბრძოლაში უერთგულა რა სამხედრო ფიცს, გამოავლინა გმირობა, ვაჟკაცობა. გარდაიცვალა 1942 წლის 31 იანვარს. დაკრძალულია ხარკოვის ოლქის კუპიანსკის რ-ნის სოფელ ზაგრიზოვოში“.

როგორც „საქართველოს უკვდავი ჯარის“ დამაარსებელს, პერიოდულად მირეკავენ და მიგზავნიან წერილებს დიდი სამამულო ომის მონაწილეთა შტამომავლები. ზოგი თავისი წინაპრის შესახებ ინფორმაციების მოძიებაში მთხოვს დახმარებას, ზოგს კი სურს, საზოგადოებამ გაიცნოს ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი წინაპარი.

ასეთი მასალები ჩვენი ინტერნეტგვერდისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მეშვეობით უკვე გამოვაქვეყნეთ, რითაც პატივი მივადგინეთ არა მხოლოდ ვინმეს ოჯახის წევრებს, არამედ ყველა ჩვენგანისთვის საამაყო ადამიანებს.

ამჯერად, გთავაზობთ შესანიშნავი პიროვნების, 91 წლის ბატონ **დავით რობაქიძის** მიერ მოწოდებულ მასალას თავისი ფრონტელი მამის, **ტარას დავითის ძე რობაქიძის**, შესახებ.

**დოკუმენტი**  
სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარიატი  
მოდრავი სავლე ჰოსპიტალი 2325


**უწყება**  
თქვენმა შვილმა რობაქიძე ტარას დავითის ძემ (წითელარმიელი, დაბადებული 1907 წელს, საქ. სსრ, ქ. ზესტაფონი, ჩხარის რ-ნი, სოფ. გოგნი) სოციალისტური სამშობლოსათვის ბრძოლაში უერთგულა რა სამხედრო ფიცს, გამოავლინა გმირობა, ვაჟკაცობა. გარდაიცვალა 1942 წლის 31 იანვარს. დაკრძალულია ხარკოვის ოლქის კუპიანსკის რ-ნის სოფ. ზაგრიზოვოში.

ეს უწყება წარმოადგენს დოკუმენტს პენსიის მოსათხოვნად (სსრკ თავდაცვის სახალხო კომისარიატის ბრძანება №—).

/პასუხისმგებელი პირების ხელმოწერები, ბეჭედი/.

ბატონი დავითის წერილიდან:

**„დიდი საბავშლო ომის დაწყებიდან მამაჩემი, ტარას დავითის ძე რობაქიძე, რომელიც იმხანად ცხოვრობდა ჩხარის (დღევანდელი თერჯოლის) რაიონის სოფელ გოგნში, მალევე გაიწვიეს ჯარში. იმ დროს უკრაინის ძალაში ხარკოვი ხელიდან ხელში**



გადადიოდა და ხან ფაშისტები იღვანენ იქ, ხან — საბჭოელები.


მამაჩემი დაიჭრა მძიმედ და ხარკოვის ოლქის ბოროვსკის რაიონის სოფელ ზაგრიზოვოში, სავლე ჰოსპიტალში გარდაიცვალა (მამინ იქ სკოლა იყო). ოჯახმა იმ სოფლიდან მიიღო უკანასკნელი სამკუთხედად დაკეცილი წერილი. გავიდა ხანი და მე, უფროსმა შვილმა, დავინყე მამის სამარხის ძებნა. ხუთი თუ ექვსი წელი მქონდა მიმონერა და ბოლოს მოსკოვის ოლქის ქალაქ პოდოლსკიდან მივიღე შეტყობინება. — მწერდნენ, სად იყო დაკრძალული ათი მეომარი, მათ შორის, ორი ქართველი — საშუალო სკოლის ეზოში, ძმათა სასაფლაოზე. იქვე, მათ თავს, იდგა საბჭოთა მეომრის თავანჯდელი უზარმაზარი ქანდაკება.

1977 წლის 9 მაისს ჩავედი იმ სოფელში მე, ჩემი ძმა ვალერიანი და ჩემი უფროსი ქალიშვილი ელზა, რომელიც იმხანად 25 წლისა იყო. დიდებული შეხვედრები მოგვიწყეს. ჩვენც თან წაღებული გვექონდა ქართული ღვინოები, ჭაჭა და კიდევ ბევრი სხვა რამ“.

# ხარკოვისთვის ბრძოლაში სახელოვნად დაღუპული ტარას რობაქიძე



ტარას რობაქიძე და მისი მეუღლე ლეონიდა სპირიდონის ასული რობაქიძე



**ტარას რობაქიძის გარდა, ზაგრიზოვოში დაკრძალულია ქართველი მეომარი, რიგითი ა. შ. მენთეშაშვილი. ბატონმა დავითმა, სამწუხაროდ, ვერ მიაკვლია მის ქირისუფალს, მიუხედავად არაერთი მცდელობისა 1977 წლიდან.**



დავით, ელზა და ვალერიანი რობაქიძეები ხარკოვის ოლქის ბოროვსკის რაიონის სოფელ ზაგრიზოვოში ამ სოფლის პიონერთა რაზმთან ერთად დიდ საბავშლო ომში დაღუპულთა საფლავთან (დავით რობაქიძის გვერდით დგას სოფელ ზაგრიზოვოს სკოლის დირექტორი მარია ანდრეევანა შორეინა). 1977 წლის 9 მაისი

ბატონმა დავითმა, წერილთან და დოკუმენტთან ერთად, რამდენიმე ფოტოსურათიც გამოგვიგზავნა. ტარას რობაქიძის გარდა, ზაგრიზოვოში დაკრძალულია ქართველი მეომარი, რიგითი ა. შ. მენთეშაშვილი. ბატონმა დავითმა, სამწუხაროდ, ვერ მიაკვლია მის ქირისუფალს, მიუხედავად არაერთი მცდელობისა 1977 წლიდან.

**დიდი საბავშლო ომის დაწყებიდან მამაჩემი — ტარას დავითის ძე რობაქიძე, რომელიც იმხანად ცხოვრობდა ჩხარის (დღევანდელი თერჯოლის) რაიონის სოფელ გოგნში, მალევე გაიწვიეს ჯარში. იმ დროს უკრაინის ძალაში ხარკოვი ხელიდან ხელში გადადიოდა და ხან ფაშისტები იღვანენ იქ, ხან — საბჭოელები. მამაჩემი დაიჭრა მძიმედ და ხარკოვის ოლქის ბოროვსკის რაიონის სოფელ ზაგრიზოვოში, სადაც უკანასკნელი დაღუპულად დაკეცილი წერილი**

გულბათ რცხილაძე



მას შემდეგ, რაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე (ჩვენი აზრით), ქართული მიწის ღალატის ფასად 2004 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა მთავრობამ გააუქმა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მასთან ერთად გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული მიწათმომწყობის სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორია, გაჩნდა ნიადაგების კვლევის და სხვა მიმდინარე სამუშაოები.

1996 წლის 22 მარტს მიიღეს საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“. აღნიშნულის საფუძველზე 1992 წლიდან საქართველოს მოქალაქეთა კომლექსივის (ოჯახებისთვის) გაცემული მიწის ნაკვეთები, აგრეთვე, 1992 წლამდე მათ კანონიერ სარგებლობაში არსებული საბაღე, საბოსტანი, სააგარაკე, სამოსახლო, საკარმიდამო ნაკვეთები გამოცხადდა მათ კერძო საკუთრებად.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების ნაწილზე კერძო საკუთრება გამოცხადდა საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღების შემდეგ, 1997 წლის 25 ნოემბრიდან. 1998 წლის 28 ოქტომბერს მიიღეს საქართველოს ორი კანონი — „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრების გამოცხადების შესახებ“ და „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ“. ეს კანონები ძალაში შევიდა 1998 წლის 12 ნოემბრიდან. პირველი კანონის შესაბამისად, თუ ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირები 1998 წლის 12 ნოემბრამდე კანონიერად სარგებლობდნენ მიწის ნაკვეთით, ეს მიწები გამოცხადდა მათ კერძო საკუთრებად სათანადო საფასურის გადახდის შემდეგ. ეს საფასური შეადგენდა 1999 წლის 1 იანვრამდე ერთი წლის მიწის გადასახადს, ხოლო 1999 წლიდან — ერთი წლის მიწის გადასახადის ორმაგ რაოდენობას. 2010 წლის 21 ივლისს მიიღეს საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“.

1992 წლის 21 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ მიიღო დეკრეტი (№29) „საქართველოს რესპუბლიკაში მიწის რეფორმის განხორციელების, სახელმწიფო მეურნეობის, კოლმეურნეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა რეორგანიზაციის შესახებ“. დადგინდა: სახელმწიფო მეურნეობები, კოლმეურნეობები და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოები ვალდებული არიან, 1992 წელს გაატარონ რეორგანიზაცია.

ეს დეკრეტი არ შესრულდა. სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების ბაზაზე ნაცვლად გლეხური (ფერმერული) მეურნეობების, კოოპერატიული საზოგადოებების, კოოპერატივების შექმნისა, დაიწყო ქონების დატყვება — განადგურდა მეცხოველეობის კომპლექსები, მეფრინველეობის თანამედროვე ფაბრიკები, მელორეობის კომპლექსები, ვეტერინარული მომსახურების სადგურები, ჯიშთა გამოცდისა და სასელექციო სადგურები, მანქანა-ტრაქტორთა პარკის სადგურები, დაიწყო ტრაქტორების ქურდობა და ჯვართში ჩაბარება... მეტიც, ათი გრამი სპილენძისთვის მწყობრიდან გამოჰყავდათ ძვირად ღირებული მონეტები... ქარხნებსა და ფაბრიკებში უნიკალური დაზგა-დანადგარებს ჩაღის ფასად ყიდდნენ თურქეთსა და ირანში. გააუქმეს სოფლის მეურნეობის დარგის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტ-

ბი და ლაბორატორიები. ნიშანდობლივია ისიც, რომ განადგურდა მევენახეობა-მეღვინეობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტთან არსებული 400-ზე მეტი უნიკალური ვაზის ჯიშის სანერგე მეურნეობა. კატასტროფულად შემცირდა ნათესი ფართობები, განადგურდა ჩაის ნარგავები, შემცირდა ვენახის, ციტრუსების, ხეხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები; მოიშალა (შეიძლება ითქვას — განადგურდა) სოფლის მეურნეობის დარგის ინფრასტრუქტურა, თესლბრუნვები, მრავალწლიანი ნარგავების ნერგების წარმოება, ხელოვნური დათვისის სადგურები, თესლის ხარისხისა და აღმოცენების დადგენის სამსახურები. ამასთან, კატასტროფულად შემცირდა მარცვლის, ხილის, ყურძნის, ჩაის, ხორცის, კვერცხის, რძისა და რძის პროდუქტების წარმოება და დამზადება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, დაიწყო დაშრობილი ფართობების მეორადი დაჭაობება, მოიშალა სარწყავი სისტემები, მიწიდან იღებდნენ სარწყავ მილებს და ჯვართში აბარებდნენ — გორისა და ქარელის რაიონებში მოიშალა ათასობით ჰექტარი დანვიმებითი სარწყავი სისტემა, მალხაზის ნევრზე მოწყობილი სრულიად ახალი, უახლესი ტექნოლოგიით მოწყობილი დანვიმებითი სარწყავი სისტემა ჯვართში ჩაბარდა. ანალოგიური მდგომარეობა იყო სოფლის რაიონის წნორის კომპლექსის დანვიმებითი სარწყავი სისტემაზე, ჯვართში ჩაბარეს რეგულატორების დანვიმებითი სარწყავი დანადგარები. ქურდობა იქამდეც კი მივიდა, რომ სოფლებში ელექტროსადენების იპარავდნენ და ჯვართში აბარებდნენ. საქართველოს ტყეებში შეწყდა ტყეთმწყობის სამუშაოები, მოიშალა მცენარეთა დაცვის სამსახურები, ხეები დაავადდა, აღარ ტარდებოდა სანიტარული და მოვლითი ჭრები, დაიწყო ტყეების უსისტემო ჩეხვა-განადგურება.

1992-1998 წლებში საქართველოში ჩატარებული ნაქართველი და გაუაზრებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შედეგად საქართველოს სახნავი მიწები და მრავალწლიანი ნარგავები დაქუცმაცდა და განივდა. ასეთმა მდგომარეობამ არა მხოლოდ ხელი შეუშალა სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში, არამედ უკან დასწია ის და ღარიბი, არსებობაზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებად აქცია. მიწების ასეთი დანაწევრების შედეგად შეუძლებელია მექანიზაციის, გერბიციდების, სასუქების, შხამ-ქიმიკატებისა და სხვა სამუშაოების ეკონომიკურად, რაციონალურად გამოყენება. ასეთ პირობებში უაღრესად დაბალია შრომის ნაყოფიერება. 2005 წლამდე ჩვენს ქვეყანა-

# საქართველოში გატარებული მიწის რეფორმის შედეგები



ტრში რეგისტრაციის მონაცემები აინტერესებდეს და არ იცოდეს, როგორ იცვლება ქვეყანაში მიწის კატეგორიები — სასოფლო-სამეურნეო სა-ვარგულის ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა, რომელიც აქტიური შიქნა სა-ვარგულის თითოეულ სახეზე გადასახადის მნიშვნელოვანი განსხვავების გამო. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რა რაოდენობა წავიდა ქალაქმშენებლობის, გზებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის და ა.შ., რაც მიწის მართვისა და რაციონალური გამოყენების საფუძველთა საფუძველია. საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა, არსებუ-

**1992-1998 წლებში საქართველოში ჩატარებული ნაქარკი და გაუაზრებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შედეგად საქართველოს სახნავი მიწები და მრავალწლიანი ნარგავები დაქუცმაცდა და განივდა. ასეთმა მდგომარეობამ არა მხოლოდ ხელი შეუშალა სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში, არამედ უკან დასწია ის და ღარიბი, არსებობაზე ორიენტირებული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებად აქცია. მიწების ასეთი დანაწევრების შედეგად შეუძლებელია მექანიზაციის, გერბიციდების, სასუქების, შხამ-ქიმიკატებისა და სხვა სამუშაოების ეკონომიკურად, რაციონალურად გამოყენება. ასეთ პირობებში უაღრესად დაბალია შრომის ნაყოფიერება.**

ში ყოველწლიურად ხდებოდა მიწების აღრიცხვა მიწის დანიშნულებისა და კატეგორიების, რაიონების, მხარეების, მიწის მესაკუთრეთა და მოსარგებელთა მიხედვით. ამ მიზნით ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით, რაიონის გაუმეობა ამტკიცებდა მიწის ბალანსს, რომელსაც შემდეგ იხილავდა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს მიწის მინისტრთა კაბინეტს. მას შემდეგ, რაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე (ჩვენი აზრით), ქართული მიწის ღალატის ფასად 2004 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა მთავრობამ გააუქმა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი და დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს მიწის მინისტრთა კაბინეტს. მას შემდეგ, რაც ყოველგვარი დასაბუთების გარეშე (ჩვენი აზრით), ქართული მიწის ღალატის ფასად 2004 წელს ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა მთავრობამ გააუქმა საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, მასთან ერთად გაუქმდა მის დაქვემდებარებაში არსებული მიწათმომწყობის სამეცნიერო კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტი და ნიადაგმცოდნეობის ლაბორატორია,

გაჩნდა ნიადაგების კვლევისა და სხვა მიმდინარე სამუშაოები. სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში (ამ დარგის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში) შეწყდა მინათმომწყობა კადრების გამოშვება. მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა ქვეყანაში დღემდე არ ხორციელდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ვერაფერს ვიცით, რამდენი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული გააჩნია ქვეყანას — მათ შორის რამდენია კერძო, მუნიციპალური თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით. არ ვიცით, რამდენი ჰექტარი ვენახი, ხილის ბაღები, ჩაი, ციტრუსი და სხვა კულტურები გვაქვს. არ არის დაზუსტებული საზღვრები რუსეთთან, აზერბაიჯანსა და სომხეთთან. საინტერესოა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტ-

რამ 2012 წელს როგორ შეიმუშავა „სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2012-2022 ს.ს.“, რომელიც არ იცის, რამდენი სასოფლო-სამეურნეო სავარგული აქვს კულტურებისა და საკუთრების მიხედვით. არ სრულდება საქართველოს კანონები: „ნიადაგების დაცვის შესახებ“ და „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“. მართალია, 2019 წლის 25 ივნისს მიღებული იქნა ორი კანონი: „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ და „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი არაფერი გაკეთებულა. დღეს ძნელი წამოსადგენია სხვა რომელიმე ქვეყანა, რომლის მთავრობას მხოლოდ პრივატიზებული (ან საპრივატიზებო) მიწის საჯარო რეეს-

ლი მიწის რესურსები და მდიდარი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი კარგი მოვლა-პატრონობის პირობებში შეისაძლებლობას იძლევა, გადაწყდეს სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა, ინვესტირების დანტერესება და საყოფაცხოვრებო პირობების სათანადო დონემდე აყვანა. ამისათვის საჭიროა:

1. აღდგეს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი;
2. ყოველწლიურად გაკეთდეს მიწის ბალანსი;
3. მიღებულ იქნას მიწის კოდექსი;
4. ჩატარდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების კონსოლიდაცია.

**ანტონი მასხიშვილი,**  
ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი,  
სერტიფიცირებული ექსპერტი უძრავი ქონების, მიწის საკითხებში

**სახელმწიფო აბრარულ უნივერსიტეტში (ამ დარგის ერთადერთ უმაღლეს სასწავლებელში) შეწყდა მიწათმომწყობა კადრების გამოშვება. მიწის აღრიცხვა და მიწის ბალანსის შედგენა ქვეყანაში დღემდე არ ხორციელდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს ვერაფერს ვიცით, რამდენი ჰექტარი სავარგული გააჩნია ქვეყანას — მათ შორის რამდენია კერძო, მუნიციპალური თუ სახელმწიფო საკუთრებაში. რაც მთავარია, არ ვიცით მიწის ფართობები დანიშნულებისა და კატეგორიების მიხედვით. არ ვიცით, რამდენი ჰექტარი ვენახი, ხილის ბაღები, ჩაი, ციტრუსი და სხვა კულტურები გვაქვს. არ არის დაზუსტებული საზღვრები რუსეთთან, აზერბაიჯანსა და სომხეთთან.**

წვეთ-წვეთოვით ინრიტება საქართველო გაზაფხულზე  
აჩქარებული პულსით და უერთდება მიგრაციის მსოფლიო  
ნაკადებს. ბლოკინებზე ელიტური „ლიდერობების“  
წარმომადგენლები და მსოფლიოს გლობალური ტენდენციების  
ბარდუვალობით ცდილობენ მოსახლეობის დაშვებულს.

# ТАЛАНТЛИЦЕ — დიდნიჭიერება და უფრო მეტი

„ვერ სამაგისო რა გვემართება,  
რომ განვისყიდოთ თავისუფლება“.

დავით გურამიშვილი „გაღი ქართლისა“

ლაშა ნადარეიშვილზე ვამბობ, რომელიც დიდმა წაბუა  
ამირეჯიბმა სამ უპირველეს თანამედროვე ქართველ  
პოეტთა შორის დაასახელა. უმეტესი ყოფილა! რაც (დღემდე  
გაყურებული) წარმოაჩინა „ასავალ-დასავალის“ წლებანდელ  
მე-5 ნომერში გამოქვეყნებულმა პუბლიცისტურ-  
ფილოსოფიურმა პოემამ, რომელმაც გული და გონება  
გამსჭვალა და დაგვაფიქრა. Пронзительная вещь.

„აუპლიცისტური პოემა ნახე-  
ვარ მოქმედებად“ — ესეც სათა-  
ური. თურმე შესაძლებელი ყოფილა  
ჩვენს უახლეს ისტორიაზე მაღალმ-  
ხატვრული ნაწარმოების შექმნა, პო-  
ეტური სახეების გამოქვეყნება და  
გამოქანდაკება.

მაგრამ გამოქვეყნება, გამოქანდა-  
კებას დრო სჭირდება და ფიქრი, ძე-  
ბა და მიკვლევა.

დაუწყებია.  
აქ კი დედამიწის ამბოხია, აფეთქე-  
ბა, ლავა, გავარვარებული მეგატო-  
ნების ზალპი ბუნების ძალების ხოშ-  
სა და ნებაზე.

ცეცხლის წითელი მდინარე შორი-  
დან საყურებელი, შიშითა და განწმ-  
ენდის იმედით:

**„ღრუბლიანიდან შეპარული  
მომავალი კარბა,  
იშპარია დამისვამს  
ვიღებ დანას ვენახზე“** — პლა-  
ნეტარული კატაკლიზმები.

საყოფაცხოვრებო ქაოსი და ამ ორ  
განზომილებას შორის ჩვენი მდორე  
შუამდინარეთი, რომლის სივრცეში  
**„გადაიქცა ბათუმი ოსმალების  
სტანიცად“**, და, საერთოდ, ამ ორი  
შეუთავსებლობის ერთმანეთში „ლა-  
ითად“ გადადინება.

მონაცვლეობით. ზოგჯერ აბსო-  
ლუტურად ალოგიკურად, როცა  
მთავარსარდალი „ჯულაშვილის ქა-  
ლაქში გორავს ხაზიზგინივით“ გორ-  
ის ქუჩის გაცვეთილ ასფალტზე. გა-  
მდნარ ერბოში წესისამებრ ამოვლე-  
ბული ოსური „ხაჭაპური“.

ეს ერთი მაგალითია.  
დრო დაიკარგა სამყაროს მასშტა-  
ბით, უდროობის ჟამი დგება, გრძნ-  
ობს ამას პოემის ლირიკული გმირი  
და, თუ ღმერთი გვაპატიებს „ახალი  
ალექსის“ ერთი პასაჟის ინტერპრე-  
ტაციას, დასაფიცვიც აღარ გვექნება  
„ცა და რაც მასშია, მინა და რაც მას-  
შია, ზღვა და რაც მასშია“, რადგან:

**„ციდან ისევ მოისმის  
არანახული გრუსუნის  
მხარხარა ერთმანეთს  
მხატვარ გუნდა შევა“**, — ვუბ-  
რუნდებით კოსმოსურ მასშტაბებს.

არ გვემის, ვერ ვიგებთ? ეტყობა,  
ასეა და ამიტომ გვაფრთხილებს პოე-  
ტი, რომ ამასობაში ცოდვილ დედამი-  
წაზე, კერძოდ, **„რეგონში უხანის და-  
უნწყიათ ახალი ბაბილონის შენება“**.

ბაბილონი — სიმბოლო შეუღლებ-  
ლობაზე ნაპოტიანების, ამაო მცდე-  
ლობის ღმერთთან ფიზიკური მიახ-  
ლოების.

არმაგედონ — „სამაჯვარო მრავ-  
ალ წყალზე მჯდომი დიდი მებავის“.  
კიდევ ერთი გადადინება. კოსმო-  
სური მოძრაობა. უნარი გამოცხადე-  
ბის აღწერის — თუ საჭირო გახდა,  
რა თქმა უნდა, ღმერთმა დაგვიფარ-  
ოს! თორემ საქართველოს ამის საკ-  
მაო „გამოცდილება“ გააჩნია. უნდე-  
მური. მინაში გამჯდარ დაავადებასა-  
ვით: მაინც მაინც და მხოლოდ გა-

რეზე მტერს არ დაუფიჯვანია ჩვენი  
საყანე საგარეულები ბელტების  
მწკრივების უაზრობით — ამოუძირ-  
კვავს, ამოუკაფია, გაუუდაბურებია,  
**დუშმანს** (როგორც არაერთხელ გა-  
მაგონეს ავღანეთის ომში ყოფნისას).  
**შურავის** ხელიც ურევია, მეგობრის,  
რომელიც მტერზე უარესია ზოგჯერ.

შიდა ომები. ძმათამკვლელი. შეგ-  
ვახსენებს პოემის დანწყვეტამდე და-  
ჭიმული სტროფები:

**„უახლოვდება  
მთვარა გაზალთის,  
პარამხანდიან  
გამო, ძალაქო,  
თორამ შეღაპვს  
სისხლით ლაზარეთს  
ახალი ომი  
სამოძალაქო“**.

ლაზარეთი — ღარიბთა სასწრაფო.  
წვეთ-წვეთობით ინრიტება საქარ-  
თველო გაზაფხულზე აჩქარებული  
პულსით და უერთდება მიგრაცი-  
ის მსოფლიო ნაკადებს. ბლოკინებენ  
ელიტური „ლიდერობების“ წარმო-  
მადგენლები და მსოფლიოს გლობა-  
ლური ტენდენციების გარდუვალობ-  
ით ცდილობენ მოსახლეობის დამ-  
შვიდებას.

ხალხს არ ესმის ხელისუფლების,  
მით უფრო, ოპოზიციის, რადგან გახ-  
ლეჩილია საზოგადოება, არმაზის ბი-  
ლინგვასავით გარებულნი: „მე, სერ-  
ავიტი, ასული ზევანისა, მცირისა პი-  
ტიანისა ფარსმან მეფისა“ — ერთ  
მხარეს, მეორე მხარეს — საფლავე-  
ბის დუმლი:

**„უკანასკნელ ნიუსით  
კოვიდ-სტატისტიკურით,  
სუთ-ნახეპარ მილიონს  
ნაულია ნარილი“**.

სტატისტიკის განგაშის ზარებს  
დაარისხებს პოეტი და მიიჩნევს, რომ  
ადამიანთა მოდგმის გადაშენებას  
მხოლოდ უმნიკვლო, უსუფთავესი,  
შეურყენელი და ა.შ. გრძნობა შეაჩე-  
რებს. სიყვარული და მშვენებერბაც,  
რა თქმა უნდა:

**„უკანასკნელ ნიუსით  
კოვიდ-სტატისტიკურით,  
სუთ-ნახეპარ მილიონს  
ნაულია ნარილი“**.

**„ფორბანაქს დიდავა,  
ავითოს, მარად დიდავულს!  
სამოგლობსთვის უამრავ  
ტკივილს არდარიდავულს“**.

მის გაჟვავებას, უფლის დარაინდე-  
ბულს.

მრავალწახნაგოვანია, ოქროცურ-  
ვილი მეტაფორებისა და ინტელიგენ-  
ტური სარკაზმის მოულოდნელ  
ჩარჩოში ჩასმული. მანამდე არსად  
ნანახსა და განაგონში. არც თიბისი  
ბანკის იპოთეკითაა დატვირთული  
და არც ვინმეს საამებლად თქმული  
ღმერთო, მიშველე,  
მისადგომს ვეძებ,  
ყანის მკას ვინყებ,  
როგორც მინდია...  
არ იბრალეებს პირველობას.  
ან რად სჭირდება?!  
კეთილშობილება სწორედ ეს არის,  
მისი გვარის თანდაყოლილი თვის-  
ება: „მეტიდინე სიბრძნე უფროს ყო-

„სამაჯვარო მრავ-  
ალ წყალზე მჯდომი დიდი მებავის“.  
კიდევ ერთი გადადინება. კოსმო-  
სური მოძრაობა. უნარი გამოცხადე-  
ბის აღწერის — თუ საჭირო გახდა,  
რა თქმა უნდა, ღმერთმა დაგვიფარ-  
ოს! თორემ საქართველოს ამის საკ-  
მაო „გამოცდილება“ გააჩნია. უნდე-  
მური. მინაში გამჯდარ დაავადებასა-  
ვით: მაინც მაინც და მხოლოდ გა-

წვეთ-წვეთოვით ინრიტება საქართველო გაზაფხულზე



ალბრეხტ დიურერი, „აპოკალიფსი“

**ხალხს არ ესმის ხელისუფლების, მით უფრო,  
ოპოზიციის, რადგან გახლეჩილია საზოგადოება,  
არმაზის ბილინგვასავით გარებულნი:  
„მე, სერავიტი, ასული ზევანისა, მცირისა პი-  
ტიანისა ფარსმან მეფისა“ — ერთ მხარეს,  
მეორე მხარეს — საფლავების დუმლი:**

**„უკანასკნელ ნიუსით  
კოვიდ-სტატისტიკურით,  
სუთ-ნახეპარ მილიონს  
ნაულია ნარილი“**

**„ფორბანაქს დიდავა,  
ავითოს, მარად დიდავულს!  
სამოგლობსთვის უამრავ  
ტკივილს არდარიდავულს“**.

მის გაჟვავებას, უფლის დარაინდე-  
ბულს.  
მრავალწახნაგოვანია, ოქროცურ-  
ვილი მეტაფორებისა და ინტელიგენ-  
ტური სარკაზმის მოულოდნელ  
ჩარჩოში ჩასმული. მანამდე არსად  
ნანახსა და განაგონში. არც თიბისი  
ბანკის იპოთეკითაა დატვირთული  
და არც ვინმეს საამებლად თქმული  
ღმერთო, მიშველე,  
მისადგომს ვეძებ,  
ყანის მკას ვინყებ,  
როგორც მინდია...  
არ იბრალეებს პირველობას.  
ან რად სჭირდება?!  
კეთილშობილება სწორედ ეს არის,  
მისი გვარის თანდაყოლილი თვის-  
ება: „მეტიდინე სიბრძნე უფროს ყო-

ველ გვერდზე, ჯანსუღ ჩარკვიანის  
ფოტოპორტრეტისა და მისი შესა-  
ნიშნავი ლექსის გამოქვეყნებით:  
„მთავარი მაინც მამული არის, გან-  
საცვიფრებლად არის მთვარი“.  
შეგვახსენებს, რომ პირველი ლი-  
რიკული პოემა „რწმენის კედელი“  
სწორედ ჯანსუღისაა, გასული საუ-  
კუნის 70-იან წლებში დაწერილი:  
**„როცა ვწერ შენზე,  
როცა ვწერ შენზე,  
ჩემი სიცოცხლე  
ბუნებზე ჰკიდია.  
ღმერთო, მიშველე,  
მისადგომს ვეძებ,  
ყანის მკას ვინყებ,  
როგორც მინდია“**...  
არ იბრალეებს პირველობას.  
ან რად სჭირდება?!  
კეთილშობილება სწორედ ეს არის,  
მისი გვარის თანდაყოლილი თვის-  
ება: „მეტიდინე სიბრძნე უფროს ყო-



ლაშა ნადარეიშვილი

ველთა, რომელიც იყენებ უწინარეს  
ჩემთა“ (სოლომონ ბრძენი).  
**ალექსანდრე პუშკინი** საკუთარ შე-  
მოქმედებას ასე აფასებდა (ესეც სა-  
ყოველთაოდ ცნობილი ფორმულაა):  
„Я памятник себе воздвиг нерукотвор-  
ный“.

**ლაშა ნადარეიშვილი წერს:  
„ჩემს ლემს სამოგობლო  
ააფრილავს,  
ჩემს გულს სამოგობლო  
მიწა ჩაიღვამს,  
სიტყვებს,  
უფლისგან დანაფრინებებს  
ახსოვთ — ჩემს უკან  
მხოლოდ ცა იღვამს“**.

ნაიკითხავთ, უეჭველად ნაიკითხ-  
ავთ, მაგრამ სურვილი მკლავს მაინ-  
ცდამაინც მე დავეუგო წითელი ხალი-  
ჩა ამ შედეგის ავტორს და ავაბრია-  
ლო მისი ბრილიანტები, როგორც ნი-  
წონწინდაში საქართველოს ლექსის  
მეხანძრეთა ძმობით, ცრემლით, სი-  
ყვარულის იარით აბრიალებული ლა-  
მე მეფეთა გაცრეცილ პალატებში  
(გოგლა ლეონიძე).

ჩემთვის ვწერ:  
**„როცა ბათანიანი  
მსურდა, ზარი მერეა,  
ხმა ბანისა ცეკვანა:  
დროცა აიცარიო!“**

ან:  
**„შენ ხვალაც  
მზისკენ უნდა ალალო  
სინდისის ციხის  
ანი სართული“** (ყოული შარტავას).

შემდეგ:  
**„გადმოვკრილია  
თასი მავშიდა,  
გამოერთულია  
ზაცის ფიდარი.  
შენ კვლავურად  
თავს დამავშიდა,  
რომ უკეთესი  
მოვა ლიდარი“**.

თუნდაც ეს:  
**„...რომ შიტიყოს  
გუმისის გამთლელი  
იპოთაქური  
შუღლის კონცერტა“**.

ესეც:  
**„სამაჯვარე ემესი ურჩხული  
სამაჯვარე ემესი ლაყურით  
ჩაბინელი მდუმარად  
სტროფების გილვაგვი,  
ცა და მინა ინვინა  
ტანჯვით ვერგასაყურით“**.

ასევე:  
**„ომიკრონის დელტაში  
პირუსების ასორტით  
გაბეჭდილი სიცოცხლე  
ან სიკვდილი რა იყო?  
დამართო, ისინა პლანეტა,  
რომ ხვალ მწვანე პასაჟორტით  
ცოდვილ დედამინაზე  
ხალხი აღარ დაიყო!“**

პუერია კიდევ...  
**„პოეტის სანაღმინო ფიქრით  
მდიდრება თანამედროვე ქარ-  
თული ლიტერატურა.  
ქება — ხვალისა“**.

\*\*\*  
**მი კალამი დამიფიქვა. ისედაც  
„სათნავს გაყინულ სუღარა-  
ში ჩარჩენილი სიმითაა“**...

არაგა საწაბლია



მას უფლის ანგელოზი გამოეცხადა და შეაჩერა: „სვიმეონ, გნამდეს, რაც წერიან და საკუთარი თვალთ იხილავ, როგორ აღსრულდება ეს სიტყვები, რამეთუ არ მოკვდები, სანამ არ იხილავ ქალწულისაგან შობილ მაცხოვარს“.

**მართლმადიდებელი ეკლესია 15 თებერვალს მიიქმის ღვთისმშობლის აღნიშვნას. მიიქმის — ღვთისმშობლის მიგაგვიან ღვთისმშობლი, უფლის 12 ღვთისმშობლთა შორის ერთ-ერთი უდიდესია.**

პტოლემეოს ფილადელფოსმა, რომელიც ქრისტეს შობამდე 287-247 წლებში განაგებდა ეგვიპტეს, ალექსანდრიაში ცნობილი ბიბლიოთეკა დააარსა. ერთდროს მან შეიტყო, რომ მის მიერ დამორჩილებულ იუდეველებს სიბრძნითა და სინამდვილეს სავსე მრავალი საღმრთო წიგნი ჰქონდათ და გადაწყვიტა, ბერძნულად ეთარგმნა ისინი. ამით თავის სახელგანთქმულ წიგნსაცავსავე გაამდიდრებდა და ალექსანდრიაში მცხოვრებ იუდეველთა კეთილგანწყობასაც დაიმსახურებდა — იმხანად ეგვიპტეში გადახვეწილ ებრაელებს თითქმის დავიწყებდათ მშობლიური ენა.

პტოლემეოსმა იერუსალიმში ელჩობა წარგზავნა და მღვდელმთავარ ელვართან დიდი ძღვენი და წერილი გაატანა. სთხოვდა, გაეგზავნა მისთვის საღმრთო წიგნები და სჯულის მეცნიერნი, რომლებიც მათ ბერძნულ ენაზე თარგმნას შეძლებდნენ.

ელვარმა ისრაელის 12 ტომიდან ამოირჩია ექვს-ექვსი მოხუცებული, რომელთაც ზედმინევენი იცოდნენ ბერძნული ენა, ჩააბარა მათ წმიდა წიგნები და პტოლემეოსთან გაგზავნა.

ეგვიპტის მმართველმა დიდი პატივით მიიღო ისინი, დაასაჩუქრა და ფაროსის კუნძულზე დაასახლა.

სამოცდათორმეტმა ღირსმა მამამ 72 დღეში გადათარგმნა წმიდა წერილი.

ღირს მამათა შორის იყო მღვდელი უფალი საბათისა, წმიდა სვიმეონი (მღვდლის ეფოსნამოსხმული, ოქროს კვერთხით ხელში გამოეცხადა იგი პეტრე ათონელს). წმიდა სვიმეონს ესაია წინასწარმეტყველის წიგნის თარგმნა ერგო. ღირსი მამა დიდი მოკრძალებითა და ღვთისმოში-

ებით შეუდგა საქმეს. როცა იმ ადგილამდე მივიდა, სადაც ესაია მაცხოვრის შობას წინასწარმეტყველებს: „აჰა ეს-ერა, მიუდგეს ქალწული და შვეს ძე და უწოდონ სახელი მისი ემანუელ“, — სვიმეონი შეცბა და ისე განკვირდა, თითქოს პირველად წაიკითხა ეს სიტყვები. „როგორ შეიძლება, ქალწულმა მამა კაცის გარეშე შობოს ყრმაო“, — გაიფიქრა და დანა აიღო, რათა სიტყვა „ქალწული“ ამოეფიქრა და მის ნაცვლად „მდედაკაცი“ ჩაეწერა. ამ დროს მას უფლის ანგელოზი გამოეცხადა და შეაჩერა: „სვიმეონ, გნამდეს, რაც წერიან და საკუთარი თვალთ იხილავ, როგორ აღსრულდება ეს სიტყვები, რამეთუ არ მოკვდები, სანამ არ იხილავ ქალწულისაგან შობილ მაცხოვარს“.

განეშორა უფლის ანგელოზი და წმიდა სვიმეონისთვის დრო თითქოს გაჩერდა. სული მისი გადასახლდა ღვთის სამყაროში, დროისა და სივრცის მიღმა.

გადიდონა წლები, ათწლეულები, ასწლეულები; სვიმეონის თვალნი იბადებოდნენ, იზრდებოდნენ და იხოცებოდნენ თაობები, მღვდელმთავარნი და ერისმთავარნი ისრაელისა. და აი ერთ დღეს ყრმა იესო ღვთისმშობელმა მარიამმა და მართალმა იოსებმა ტაძრად მიიყვანეს, რათა უფლისთვის ძღვენი შეენიერათ. წმიდა სვიმეონ ღვთისმშობელმა იცნო ტაძარში მიყვანილი მაცხოვარი, რომელსაც იგი, ანგელოზის სიტყვისამებრ, სამ-ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ელოდა.

იუდეველთა წესის მიხედვით, პირველმოზილი ყრმა მე-40 დღეს ტაძარში მიჰყავდათ და ღვთისთვის მსხვერპლს სწირავდნენ ერთი წლის კრავს,

# მიიქმის

**მიიქმის მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი**

## მიიქმის ბილოსავთ, ამ დღის პატივი გვარაგვდეთ ყველას!



**ერთ დღეს ყრმა იესო ღვთისმშობელმა მარიამმა და მართალმა იოსებმა ტაძრად მიიყვანეს, რათა უფლისთვის ძღვენი შეენიერათ. წმიდა სვიმეონ ღვთისმშობელმა იცნო ტაძარში მიყვანილი მაცხოვარი, რომელსაც იგი, ანგელოზის სიტყვისამებრ, სამ-ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ელოდა.**



ბათუმი. მიიქმის ეკლესია

ხოლო სიღარიბის შემთხვევაში, წველი გვრიტს ან მტრედის ხუნდს.

წმიდა სვიმეონი იესოს კრძალვით მიეგება, თავის მკლავზე მიიჭება, მიიწვინა და განაცხადა: „ან განუტყვე მონაი შენი მუშაო, სიტყვისააბრ შენისა. მშვიდობით, რამეთუ იხილავ თვალით ჩემთა მაცხოვარაბაი შენი“. სვიმეონმა იხილა ქრისტე და ჩაიკრა გულში. ამ ფაქტის შემდეგ კი მალე აღესრულა.

მიიქმის — უფლისადმი მიგებების დღესასწაული VI საუკუნემდე განსაკუთრებული ზემოთ არ აღინიშნებოდა. 528 წელს, იმპერატორ იუსტინიანეს (527-565) დროს, ანტიოქიას თავს დაატყდა საშინელი მინისძვრა, რომელსაც მრავალი ადამიანი ემსხვერპლა. ერთ უბედურებას მეორე დაერთო — შავი ჭირის ეპიდემია: ყოველდღე რამდენიმე ათასი კაცი იხოცებოდა. ამ განსაცდელის ჟამს ერთ კეთილშეშურ ქრისტიანს ზეგარდმო ეუწყა, რომ მიიქმის დღესასწაული უფრო საზეიმოდ აღენიშნათ, და, როდესაც ამ დღეს ღვთისთვის ღოვებები და ლიტანიობა აღასრულეს, ბიზანტიაში უბედურებათა წყება შეწყდა.

ღვთისადმი მადლიერების ნიშნად, 544 წელს ეკლესიამ განაჩინა, მიიქმის (მიგებება) უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი საზეიმოდ აღენიშნათ.

საქართველოში „მიიქმის“ ლამაზობაც ეწოდება, რასაც „უძველესი იადგარი“ და „პარხლის მრავალთავი“ მოწმობს, ხოლო სვანეთში დღემდე მას „სვიმინი-ლამპრობას“ უწოდებენ სხვადასხვა ვარიაციებით, ხოლო საქართველოს სხვა კუთხეებსა და მთაში — „ლამპრობას“, ასევე სხვადასხვა ვარიაციით.

როგორც ბატონი კორნელი კეკელიძე წერს, „მიგებების“ დღესასწაული საქართველოში იერუსალიმური ლიტურგიული პრაქტიკიდან ძველთაგან შემოვიდა და „ლამპრობის“ სახელით ქართულ „კურთხევებში“ და ტრადიციაში XVIII საუკუნემდე იყო.

მიიქმის ეკლესია აღნიშნავს უფლის ტაძრად მისვლის დღეს, როდესაც კაცთაგან აშენებულ ტაძარში თავად ყოვლის შემოქმედი მივიდა. ამ დღეს იგი მთელ კაცობობას ეწვია ტაძარში, ეწვია ისრაელისა და წარმართებისათვის „აღმობრწყინებული ნათელი მიუარდილებელი“, რათა საღვთო სინამდვილე და სინათლე მიენიჭებინა ყველასთვის.

ამიტომაც მას ქრისტიანები ანთებული კელაპტრებით ვხვდებით, რითაც გამოვხატავთ ჩვენს მზაობასა და სურვილს ზეციური მადლის მიხედვად.

საეკლესიო საგალობლები არაორაზროვნად გადმოსცემენ ღვთიური ნათლის ხილული ნათლით განდიდებას.

ტროპარი: გიხაროდენ, მიმადლებულ ღმრთისმშობელ ქალწულს, რამეთუ შეგან განსორცხილდა მხსნელი სოფლისა, ქრისტე ღმრთი ჩუანი; იხარებდ შენცა, მოხუცებაულ მართალ სვიმეონ, რამეთუ მიიქმ მკლავთა შენთა განათავისუფლებული სულთა ჩუნიცა, რომელი მოგვანიჭა ჩუნი დიდსა წყალობასა.



ყველაზე  
ყველაზე...

www.geworld.ge  
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ორბანი ერთ-ერთი პირველი საბრძოლო კონსტრუქციაა, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა, უწყვეტი ცეცხლი გაეხსნათ მონინალმდებელი მფლობელისთვის. ამ იარაღს XV საუკუნეში იყენებდნენ. მისი სახელწოდება კი მომდინარეობს კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტისგან, რომელსაც ბარბენულად ჰგავს.


ცეცხლსასროლი იარაღის გაუმჯობესებას მას შემდეგ, რაც გამოიგონა, ადამიანი ყოველთვის ცდილობდა, რათა უფრო ეფექტიანი და გამოსაყენებლად მარტივი ყოფილიყო. ზოგჯერ კი ინჟინერ-კონსტრუქტორები მუშაობის შედეგად ორიგინალური იარაღს იღობდნენ. ამ მასალაში გაეცნობით ცეცხლსასროლ იარაღებს, რომლებიც განგაცვიფრებთ თავისი შესაძლებლობებით. მათგან ზოგიერთმა რევოლუცია მოახდინა სამხედრო სფეროში, სხვები კი, უბრალოდ, ფუფუნების საგნებად დარჩა.

# სეხსლსასროლი იარაღის 10 საოცარი სახეობა



## მოსილულიანი იარაღი

მოსილულიანი იარაღის შექმნის იდეა დიდი ხნის განმავლობაში აწვავდა კონსტრუქტორებს. პისტოლეტები და შაშხანები, რომლებიც შეიქმნა საბრძოლო კუთხიდან სროლა, გასულ საუკუნეში გამოიგონეს. გერმანია პირველი სახელმწიფოა, რომლის ტერიტორიაზეც აქტიურად წარმოებდა ასეთი იარაღის გამოცდა. პირველი მსოფლიო ომის მიმდინარეობისას კი დანიელმა კონსტრუქტორებმა გამოიგონეს პერისკოპიანი მოწყობილობა მოსინის შაშხანისთვის.



## სეხსლსასროლი იარაღი დანა-ჩანგალსა და კოვზი

ეს არის კერძის მისართმევი საგნებისა და ცეცხლსასროლი იარაღის ჰიბრიდები. ამ სასიკვდილო იარაღის მფლობელს შეეძლო, ელვისებურად მოეგერიებინა თავდასხმა და ჭამაც არ შეეწყვიტა.




## პეფე ანრი VIII-ის კვატონი

ინგლისის მეფე ანრი VIII ისტორიაში შევიდა, როგორც „შავი ქერი“ და უცნაური იარაღის მოყვარული მონარქი. ანრი VIII-ის კოლექციაში იყო იმ პერიოდის საბრძოლო იარაღის ყველაზე უცნაური სახეობები. კოლექციაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა კვერცხს მორგენსტერნით (ეკლესიის ლითონის სფეროს მსგავსი დასარტყამი იარაღი) ტარზე, რომელშიც თავსდება სამი პისტოლეტი პატრუქიანი მოწყობილობით. ამჟამად ეს უცნაური ცეცხლსასროლი იარაღი შეიძლება ნახოთ ლონდონის ტაუერში.



## ბერძენული ნაჯახი-პისტოლეტი

XVIII საუკუნეში ნაჯახი სამართლიანად ითვლებოდა საყვარელ და პოპულარულ იარაღად. მფლობელის ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ის ალტურვილი იყო ბევრი დამატებითი ფუნქციით. ტარში შეიძლება დამალული ყოფილიყო სატყვარი, რომლის გამოღებაც იოლად შეიძლებოდა, მაგრამ ნაჯახის ტექნიკური ვარიანტების მწვერვალია პისტოლეტისა და ნაჯახის სინთეზი. ამ იარაღს ლულა აქვს ტარის ბოლოში, ასეთი ნაჯახები ძალიან პოპულარული იყო XVI საუკუნის მეორე ნახევარში მცხოვრებ დიდგვაროვნებში. თუმცა უკვე XVII საუკუნეში ამ ნაჯახს ბრძოლაში არავინ იყენებდა.




## ორბანი

ორბანი ერთ-ერთი პირველი საბრძოლო კონსტრუქციაა, რომელიც შესაძლებლობას იძლეოდა, უწყვეტი ცეცხლი გაეხსნათ მონინალმდებელისთვის. ამ იარაღს XV საუკუნეში იყენებდნენ. მისი სახელწოდება კი მომდინარეობს კლავიშებიანი მუსიკალური ინსტრუმენტისგან, რომელსაც გარეგნულად ჰგავს. ორბანს გაცილებით მცირე კალიბრი ჰქონდა, ვიდრე ზარბაზანს, მაგრამ მეტი, ვიდრე შაშხანას, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო საარტილერიო შეტევებისას. იარაღი, რომელიც ბორბლებზე იყო დამაგრებული, ცხენების ეკიპაჟით გადაჰქონდათ.



## კასტეტ-პისტოლეტი

ეს პისტოლეტი XIX საუკუნის ბოლოს შექმნეს და იყენებდნენ როგორც შორეულ, ისე ახლო ბრძოლაში. კასტეტ-პისტოლეტს რიგითი მოქალაქეები თავდაცვისთვის ყიდულობდნენ, მაგრამ განსაკუთრებული პოპულარობით ბანდიტებში სარგებლობდა. ამ იარაღის ყველაზე გავრცელებული მოდელები იყო ფრანგული Apache და Le Contenaire, აგრეთვე, ამერიკული My Friend-ი.



## იტალიური ფაჩი-პისტოლეტი

ამ იარაღის მეშვეობით თქვენ შეძლებთ, ზუსტად შეუტოთ მონინალმდებელს და მაქსიმალურად დაიცვათ თავი ბასრი იარაღით კონტრმოქმედებებისგან. ზოგიერთი ცნობით, ინგლისის მეფე ანრი VIII-მ რამდენიმე ათეული ასეთი მოწყობილობა შეიძინა თავისი გარემოცვისთვის.



## იხის ფხის მსგავსი პისტოლეტი

ეს საბრძოლო იარაღი XIX საუკუნეში შექმნეს. მისი ლულები ყოველთვის დამიზნებული იყო მტერზე. კონსტრუქცია ძალიან ჰგავს იხის ფხს. ეს იარაღი შესაძლებლობას აძლევდა მფლობელს, ერთდროულად რამდენიმე მიზანი დაეზიანებინა.



## 3D-პრინტერით დაზადაებული იარაღი Liberation-ი

3D-პრინტერით დამზადებული პირველი იარაღი 2013 წელს წარმოადგინეს. მისი დამზადება 9,30 დოლარი დაჯდა. ეს იყო სამხედრო იარაღი, რომლიდანაც გასროლა მხოლოდ ერთხელ შეიძლებოდა. ამჟამად ასეთი პისტოლეტის გაყიდვა აკრძალულია და მისი დაბეჭდვა კანონით ისჯება.



## პარიზის ზარბაზანი

ამ იარაღის მეორე დასახელებაა „კაიზერ ვილჰელმის მილი“. ამ 210-მილიმეტრიანი შორსმსროლელი ზარბაზნი გერმანელები პარიზს უტევდნენ 1918 წელს.

„კაიზერ ვილჰელმის მილი“ რამდენიმე ნაკლი ჰქონდა, მათგან უმთავრესი იყო ის, რომ ლულას სწრაფად გამოცვლა სჭირდებოდა. ყველაფრის მიუხედავად, ომში მისი გამოყენებისას ძირითადი მიზანი მონინალმდებელზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება იყო. სწორედ ამ იარაღმა დააქვეითა ფრანგების სულსკვეთება და აღაფრთოვანა გერმანელი ჯარისკაცები.

მოამზადა ნიკა კორინთელა





# პრეზიდენტმა მოსკოვი ვიზიტს მოუხერხა

რაინაში ზელენსკისთან შეხვედრად გაემგზავრა. გააქტიურა საგარეო პოლიტიკა გერმანიის კანცლერმა ოლაფ შოლცმა, რომლის შეხვედრაც ვლადიმერ პუტინთან 15 თებერვალს არის დაგეგმილი. მანამდე კი შოლცი მაკრონს შეხვდა, შემდეგ კი, 7 თებერვალს, ვაშინგტონში ჯო ბაიდენთან გაამართა მოლაპარაკებები. სანამ მოსკოვში უკრაინის პრობლემის მოგვარებაზე მსჯელობენ, ვაშინგტონში ვითარებას კიდევ უფრო დაძაბა უკრაინისთვის იარაღის მიწოდებისა და ევროპაში სამხედრო კონტინგენტის გადასროლით. გერმანია აშშ-ის ახლო მოკავშირეა და ისინი რუსეთის მიმართ შეთანხმებულად მოქმედებენ. ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე ჯო ბაიდენმა არ განაცხადა, რომ ესკალაცია თავიდან აიცილა. მაკრონი კრემლში ვიზიტის შემდეგ უკ-

ებას უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემთხვევაში, თუმცა აქ საქმე შეჭრაში არ არის. შოლცი და ბაიდენი ოფიციალურად ვერაფერს იტყობენ გარიგებაზე, რომელიც შარშან გერმანიაში ჩატარებული არჩევნების შემდეგ დაიდო. გარიგება კი ასეთი იყო: გერმანიაში ხელისუფლების შეცვლა აშშ-ის დემოკრატიული პარტიის კონტროლით მთავარი ევროპული ბუნებრივი აირის გამანაწილებელი ჰაბის სანაცვლოდ. ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟაირ ბოლსონარუმ რამდენიმე დღის წინააღმდეგობა, რომ ვაშინგტონის მცდელობის მიუხედავად, ჩაშალოს მისი ვიზიტი მოსკოვში, ის მაინც ენგვეა მოსკოვს 17 თებერვალს. ამავე დღეებში მოსკოვში ვიზიტით ჩადის ყაზახეთის პრეზიდენტი ტოკაევი. მოამზადა ბიორგი ბაჩინილაკი

# «მოგონს თუ არა, აიტანა, ჩემო ლამაზო!» — კუჩინი ზელენსკის მიერ დაწესებულ ვიზის შეთანხმებაზე

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის მიერ მინსკის სამშვიდობო შეთანხმების პუნქტების დაწესებას გამოეხმაურა. «რაც შეეხება მინსკის შეთანხმებას, არის თუ არა ცოცხალი ან აქვს თუ არა რაიმე პერსპექტივა, მივიჩნევ, რომ სხვა ალტერნატივა, უბრალოდ, არ არსებობს. გავიმეორებ: კიევში ან ამბობენ, რომ დააკვირდებიან, ან — ჩვენს ქვეყანას დაანგრევსო. მოქმედება პრეზიდენტმა არც ისე დიდი ხნის წინ განაცხადა, რომ მინსკის შეთანხმების არც ერთი პუნქტი არ მოსწონს. მოგონს თუ არა, აიტანე, ჩემო ლამაზო, შესრულება საჭირო, სხვან-



ირად არ გამოვა. არ სურთ დონბასის წარმომადგენლებთან პირდაპირი საუბარი. ნერია (შეთანხმებაში), რომ უნდა განიხილონ და შეთანხმდნენ მათთან, სხვანაირად როგორ იმუშავებენ?! შეუძლებელია! ამიტომ ვაუკაცობა უნდა მოკრიბო, ალიარო, რაც წერია; არ თქვა შავზე, თეთრიაო და თეთრზე — შავიაო, — განაცხადა ვლადიმერ პუტინმა პრესკონფერენციაზე. ge.news-front.info

# უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალი: ხარკოვს, ხარკონსა და ოდესს რუსეთის შეიარაღებული ძალები უფრო სურს

უკრაინის ე.წ. ანტიტერორისტული ორგანიზაციის (2017-2018), ამჟამად უზენაესი რადის (პარლამენტის) დეპუტატმა პეტრე პოროშენკოს პარტია «ევროპული სოლიდარობიდან», გენერალ-ლეიტენანტმა მიხეილ ზაბროდსკიმ ტელეარხ Espresso-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ უკრაინის მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილს რუსეთთან მიერთება სურს. «ლაპარაკია მოსახლეობის იმ ნაწილზე, რომელიც ოცნებობს „ნოვოროსიზზე“, იმაზე, რომ შევიდეს რუსეთის სამხრეთ ფედერალურ ოლქში და ეს მარცხენა ნაპირის (მდ. დნეპრის — ლ.მ.) ტერიტორიაა. პირობითი ხაზა ხარკოვი, დნეპრი, ხერსონი, თვით ოდესამდე». ეს გულწრფელი აღიარება მიუთითებს იმაზე, რომ კიევის რეჟიმი აცნობიერებს, როგორი არაპოპულარულია თავის ქვეყანაში, და მოსახლეობის თვალში ლეგიტიმურობის შენარჩუნებას ანტირუსული პროპაგანდით ცდილობს, რომ რუსეთი უკრაინაში შეიჭრება.



ამ ფონზე დასავლეთი განაგრძობს უკრაინის მილიტარიზაციას: აშშ-ის, კანადის, დიდი ბრიტანეთის, ლიტვისა და ჩეთის შემდეგ უკრაინის შეიარაღებული ძალებისთვის იარაღისა და ამუხანციის მიწოდება დაიწყო პოლონეთმაც. fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთეილა

# პროექტები, რომლებიც 2022 წლის იანვარში ყველაზე მეტად გაიჭირდა

2022 წლის იანვარში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში 1.1 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 13.9 პროცენტი შეადგინა. — იუნესკოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი. გათვალისწინებულია 10 პროდუქტისა, რომლებიც იანვარში ყველაზე მეტად გაიჭირდა: \* კომბოსტო — 217,7% \* ქლიავი — 55,8% \* ბადრიჯანი — 36,4% \* მარგარინი — 35,7% \* შაქარი — 34,9% \* მანდარინი — 30,7% \* კარტოფილი — 30,6% \* წინობურა — 28,4% \* ჭარხალი — 27,4% \* მზესუმზირის ზეთი — 20,6%

# უკრაინის შეიარაღებული ძალები «ფაისბუკი» და «ინსტაგრამი» დაიხურეს

ამერიკული კომპანია «მეტა» არ გამოირიცხავს სოციალური ქსელების — «ფაისბუკისა» და «ინსტაგრამის» — შეჩერებას ევროპაში. პრობლემა შექმნა ევროკავშირის მიერ მიღებულმა კანონმა, რომლის მიხედვით ევროპელთა პერსონალური მონაცემების შენახვა და დამუშავება მხოლოდ კონტინენტზე განთავსებულ სერვერებზე უნდა მოხდეს. ამჟამად ეს მონაცემები მუშავდება აშშ-ში განთავსებულ სერვერებზე. radiosputnik.ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძე

# ამერიკის შეიარაღებული ძალები მზავდებიან ლიბერალის რეპობლიკან გუბერნატორის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სასამართლოში უჩივლა



გაზეთმა The New York Times-მა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს სასამართლოში უჩივლა. გამოცემა მოითხოვს, გადასცენ მას 2015-2019 წლის ელექტრონული

წერილები, რომლებიც ნახსენებია აშშ-ის პრეზიდენტის შვილი ჰანტიარ ბაიდენი. პოპულარული გამოცემის იურისტები ამბობენ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი 2021 წლის ივნისიდან აჭიანურებს გაზეთის მიერ კანონიერად მოთხოვნილი ელექტრონული წერილების გადაცემას. The New York Times-ი უკრაინის ტერიტორიის გამომძიებების ჩარევებში არკვევს, ხომ არ მოხდა სახელმწიფო რესურსების გამოყენება კერძო ბიზნესინტერესებისთვის. აღსანიშნავია, რომ ჰანტიარ ბაიდენი, უკვე რამდენიმე წელია, სკანდალის ცენტრშია — პანტიარ და ჯო ბაიდენებს უცხო პირების ინტერესების უკანონო ლიბერალიზაციის ადვანსული კამპანიაში დადგინდა, რომ პანტიარ ბაიდენი ე.წ. მაინდენის შვილია მუშაობდა კერძო უკრაინულ კომპანიაში «ბურისმაში» და მისი ინტერესების ლობირების სანაცვლოდ ყოველთვიურად 50 ათას დოლარს იღებდა ხელფასის სახით. strana.ua-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ბიორგი ბაჩინილაკი

www.geworld.ge საქართველო ესტუბრეტი ჩვენს სივრცეში პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეჯია გაზეთი ხელმძღვანელობს თანამშრომლები პრესის პრინციპებით. ავტორებს ექირებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს. მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6 ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894 9 772233 389009